



დაკარგული

წიგნი № 13.

თბილისი, 1907 წ.






ე. ლ. ბ. ბ. ბ.

შინაარსი

I—ფისუა და მამლაყინწა.—(ღუქსი) შ. მღვიმელისა	3
II—ჩვენი ბალი.—ი. კვდოშვილისა	7
III—ღელის საჩუქარი.—(გადმოკეთებულა); ნინო ნაკაშიძისა	10
IV—მუკ-ნახევარი.—(ზღაზღა) თ. კანდელაკისა	14
V—პატარა ქალის სასწავლო ნივთები.—(თარგმანა) სონა ქაქიძისა	18
VI—ნარვეი.—ა) ჩხუბი რამ იცის? (თარგმანა); დამ. ღუ- კანოზაშვილისა.—ბ) გამოკანები.—ვ) რებუსი	28





ფისუა და მაფლაცინა




რთხელ ფისომ მთინდომა
ჯუჯულები გაჯაგრება
და კანწია, სადაც ჭექაქდა
ფხვიურ მიწას ქათამთ კრება.

ხელა-ხელა მიეპარა
თვალ-კრუტუნა კუდის ქნევით,
რომ ქათმებს ვერცაჟი გაეგოთ,
თუ რა სურდა ამ კვარ ქცევით.

იკუმბა და კადაკლო,
შუა გუნდში გაერია;
დედალს, მამალს, დიდს, პატარას,
ვევლანს-თავაგ'სა აერია.

ზოგს ეივილი ბუვარდა,
ზოგი უშნოდ კაკანებდა,
ზოგი კიდევ გულ-წასული
ძლივს ძლივობით ქაქანებდა.

ფისუა-გი იცინოდა,
კმწკმწებდა ხუმად გულში,
ერთხელ კიდევ აპირებდა
გადანტომას მათ ფერხულში.



კი არაფერს უძებნდა:
 უძებნობდა, ოინობდა;
 ამით უნდა გამოეცნო,
 იმათ შორის ვინ ვის სჯობდა.

შესამედ რომ მიუვებრდა,
 ზირველ მისვლას არა გვანდა:
 ისე აღარ დაქსაქსულან,
 ზოგი გაუმძლიანდა.

გაჯავრდა და გაგულისდა
 მათში ერთი მამლაუინსა:
 აჯავრებ ეელ-ქობორი,
 და კისერიც აიუბნსა.

„ნეტავი, რამ კადარია,
 ე რაღაცა მხეციანო,

ან სულ მტკნარი სულელია,
 ან თვალებით ბეციაო!

წარა-მარა მისტის, მისტის,
 კუდ-ცუნცრუკა ციფვიითა,
 ნათესავეებს მაწიოკებს
 გაუზრდელი ბრიფვიონი.

დამცადოს თავკთა მტერმა,
 მე ვუჩვენებ სეირსაო,
 ამას იქით ვედარ ნახავს
 კვ აქ ჩვენთან სეირსაო.

ყოფილობდა, კულობსობდა,
 ხედ ფრთა კამლით ახტებოდა,
 მაგრამ ეშმაკ ფისესთან,
 აბა, ის რას განდებოდა.

როცა ნიკარტს მოუქნევდა
 ფისოს თავში ჩასაკურელად,
 ის თავს კვერდ'ზე კადიგდებდა
 მოხდენილად და ველ-ველად.

მებრძოლისკენ ის ბრჭყაღ-თათებს
 ხცოცვებდა, აზარებდა
 და კულ მოსულ მამლაეინწას
 თავში ჩაკვრით აზარებდა.

შეგვირცხვინა მამლაეინწა,
 უფრო მეტად გატკობრასა,
 ბოლოს გადავა ფისო განსე
 კუდი შემოილამასა.

და დაცინვით მიამახხა,—
 ხუღარ ჯაფრობ, წახდებო, —
 ათხნიც რომ იფხაკურო,
 მინც ვერას გახდებო.

შ. მღვიმელი.





ჩვენი ბაღი



ელჩელა ცოცხლდება ჩვენი ბაღი. მუ-კი მკვობა, ზა-
მთრის კლანჭებს კვლარ დაესწება მუთქი.

არც სპაკირუელი იყო. ვაძლს თოვლის თეთრი
ნაბადი წამოესხა; ვაწები წელში მოხრილიყვნენ
სიცვიისაგან; გაცრეცილი ვარდი მგლოვიარედ
მიფურებდა. ერთი სიტყვით, სიცოცხლის ნიშანი

აღარ ეძნეოდა არაფერს!

მაგრამ ვერ მარტის ნახევარი არ იყო, როდესაც მუ ჩვენს
ბაღს შევნიშნე ეშმაკობა!

ის, თურმე ზამთარს ატეუვებდა, ატეუვებდა სიცვივს!

ეს ზირველად შინდმა გამაკებინა. ზირველად იმან აიწია
მადლა ტოტები, შეიბურტვა თოვლი და ზაწაწკინა საბაძური კო-
კორი ამოაფუტქა.

აღბად ნუშნაც კული მიეცა: არ გახუდა ორი-სამი კვი-
რა, აღისფერი ტუნებიდამ იმის კოკორმაც ენა გამოუყო ზა-
მთარს.

ვაზი?!

ვაზი ხომ სულ ერთიანად აქვითინდა სიხარულისაგან!
წელში გაიძარტა, კვირტი გამოუშვა და ჭივოს გადაუსვია.



ჩივნიდა, რომელიც აქნობამდე მიბუხული საცოდებელ
გამოიყურებოდა, აღარ ასვენებდა ნისკარტით ნუშიცა და თხი-
ლაძურის კოკორს.

ჭკოცნიდა, ჭკოცნიდა გავიყვით.


მაშეძაც ხმა აიძაღლა. უშტეუნდა გატაცებული, თითქოს
ეძხდა ბუღბუღს: „მოდო, მოდო, შენი დრო დადგა“.

ძირს ეინვის ბორკილებიდან გათავისუფლებული რე
მორბოდა, მოჩუხჩუხებდა, მღეროდა და მისი სხივებს გულში
იხუტებდა.

იას კი გაეძაღა ლურჯი სურნელოვანი ხავერდი. ის დღე-
სასწაულობდა გაძარჯვებას სიცივესე, ეინვასე, 'სამთარსე!

ცოცხლდება, ცოცხლდება ჩვენი ბაღი!

ი. ევლოშვილი.







დედის საჩუქარი

(გადმოკეთებული)



ბილვიძე თუ არა ჰატარა ძალიკომ, იმ წამსვე წამოვარდა ლოკინიდან და სხქაროდ ჩაიცივა. მხიარული იყო, სახე უცინოდა. მამინვე კაახსენდა, რომ დღეს იმის დაბადების დღეა, და დედა საჩუქარს დაჰპირდა. შერძე, რა საჩუქარს! ჯერ კიდევ გუმინ უთხრა დედამ: ისეთ ბეჭედს გაჩუქებ, რომ რასაც მოისურვებ, იმას შეგისრულებსო. მაგრამ, რა მოისურვოს, ჯერ

ეს კი ვერ გადაუწყვეტია ჰაწია ძალიკოს. მანც, ჩაიცივა თუ არა, საჩქაროდ დაიბახა ჰირი და გაიქცა დედასთან. დედამ ტკბილად ჩაჰკოცნა, წამოიძრო ხეკიდან ჰაწია ბეჭედი, მისცა და უთხრა:

— აი, ბეჭედი! რაც გუფლით გინდა, იმის სახელი დასწერე ქაღალდსე, მიკ ეს ბეჭედი შეახვიე და სადმე ისეთ ადგილას დასდე, რომ ვერაფერ იპოვოს, მაგალითად თუნდა ხეში კამოდის ქვემო უჯრაში; რასაც დასწერ, მიიღებ; ეს ბეჭედი მხოლოდ ერთს რასმე შესრულებს, და კარგად იფიქრე— რა უფრო ვინდა.

— ჩქარა მივიღებ, დედილო?— დაეკითხა შაღვა.

— ეგ იმბახე დამოკიდებული, თუ რას ისურვებ: თუ ისეთი რამ მოინდობე, რომ ჩქარა ასრულება არ შეიძლება... ორ-სამ დღეში მაინც უთუოდ.

ძალვა გაიქცა სსსწავლო ოთახში, აიღო ქაღალდი და დაფიქრდა:

— რა დავწერო? რაც ძალიან მინდა, ის უნდა დავწერო. რა მინდა ძალიან? რასაკვირველია კანფეტები, ბევრი კანფეტები! — ქაღალდი აიღო დასაწერად, მაგრამ შესდგა. — აჰ, არა! განა ვკვლავურზე მეტად კანფეტები მინდა? არა; ვკვლავურზე მეტად მე ის მინდა, რომ ვოკვლ სიღამოს, როცა დასამინებლად დავწვევები, დედა მოვიდეს, მაკოცოს და სიღამოები მიამბოს...

ძალიან ისკვ გამოსწია ქაღალდი, მაგრამ შეწერდა: დედა ხომ ისედაც ვოკვლთვის მოდის, მამ რაღად დავწერო? არა, რაც ძნელი ასასრულებელია და არა მაქვს, ის უნდა დავწერო. რა არ მაქვს?... რა მინდა ძალიან?... დაუდაფი?... მაქვს. უბრის კაცები?... ცხენი?... აჰ, მოდი, ცხენს დავსწერ. სათამაშოს-კი არა, ნამდვილს, ცოცხალ ცხენს, კუდს რომ იქნვეს და დარბის, ომისთანას... უჰ, რა კარგი იქნება! შევვადები ზედ და ვარბენინებ ხან ზევით, ხან ქვევით, დეებსაც ვავიკეთებ, როგორც ბიბია-ლევანსა აქვს... მერმე მამა რომ არ გამიმეებს მარტოვას... არა უმაჯს-რა, ბიწს გამატანს, ჩვენს სიღამოს... სიღამო კარგი გულისაა, მორიდამ მიუურებს... არავის არ მეკვამ ჩემს ცხენზე, არავის, სულ მე ვივადები ზედ: დილით, ნახადილევს, სიღამოს... არავის არ ვახოვებ: არც სიღამოს, არც ვოვიანს... არა, ვოვიანს-კი მეკვამ, ერვლ მხოლოდ ერთხელ... არც სათამაშოები აქვს ვოვიანს, სულ მარტოა, სულ ტირის. არა, ვოვიანს უთუოდ ვახოვებ. მაგრამ სიღამო რომ არ წაჭევეს? საწყალი ვოვიან, არც მოსამსახურე ჰქვავს, არც

არავის ბაღში დაჰყავს სასეიროდ. როგორ გაუხარდება, ცხენს რომ ვათხოვებ!...

ძალვამ მოხია პატარა ქაღალდი და უსწორ-მასწორო დიდრონი ასოებით დასწერა: „სამღვილი ცოცხალი ცხენი, კეღს რომ იქნეკს და დარბის.“ შეახვია შიგ ბეჭედი და გახარებული გაქანდა დედის ოთახისკენ, კამოდის ქვემო უჯრადი ჩასადებდ. გაიბრინა ორი ოთახი, და სასადილო ოთახში შეხერდა: მზე მხიარულად ამუქებდა, ეზოდან ხმაურობა ისმოდა. ძალვას გულით მოუხდა ეზოში ჩარბენა. იქ მისი საუეპარული დიდი ძაღლი, მურია არის ჯაჭვით მიბმული და არც გოგია უნახავს დღეს. სუფრიდან ჰურის ნაჭერი აიღო და დაეშვა ქვევითკენ.

ეზოში სანაგვე დიდ ეუთთან იღვა ფეხშიშველად, დაუღუთოდ ტანისამოსით გოგია და გულამოსკენ. თ ტიროდა. ძალვა იმ წამსვე მასთან გახნდა.

— რისთვის ტირი, გოგია? რა გატირებს, ხეძო გოგია? მოიხედე! აი რა მქვს... იცი, გოგია, მე ცხენი შეუოლებ. სამღვილი ცოცხალი ცხენი... შენც ვათხოვებ... დედილომ წუსკლის მძვენიერი სდაპარი მიაძბო და შენც გაიძბო, ხეძო გოგია, ნუ ტირი...— ეუბნებოდა ძალვა, მაგრამ გოგია უწინდებურად ტიროდა და ცრემლებს სახელოებით იწქანდდა.

— სუ, სუ, ხეძო გოგია, — განაგრძობდა მუდარას გულანუეპული ძაღლიცო, — აბა, მეც ვიტირებ... დღეს ხეძი დაბადების დღეა, დედამ ისეთი ბეჭედი მახუჭა...

— მე სკლაც არა მქავს დედა. მცემენ! — წარმაცოთქვა ტირილით გოგია.

— გოგია; — მოისმა ამ დროს გაჯავრებული ძახილი, — გოგია! სადა ხარ აძნ სს სახს!

მეძინებული გოგია მოსწუდა ადგილს და შურდულივით გაქანდა სარდაფის სართულისაკენ.



ძლიერად ხელდასხვად გადაეცნა თვალი და შეძევს, თი-
 თქოს რღვრადმ გაუეღვა თავშიო, დახედა ხელიში შეხვეულ
 ბეჭედს და სასქაროდ მინისკენ გაიქცა; აირბინა კიბე, შევიდა
 სასწავლო ოთახში, გამძღა ქაღალდი, წამძღა კარბანდშიო
 დაწერილი „ნამდვილი ცოცხალი ცხენი, კუდს რომ იქნეს და
 დარბის“ და ქვეშ მიაწერა: „გოგინათვის დედა.“ შეხვია ში-
 ბეჭედი და დედის ოთახში კამოდის ქვეშო უჯრახში ჩადო.

ნინო ნაკაშიძე.





მუჭ-ნახევარი

(ზღაპარი)



რთს ქალს სულელი ქმარი ჭეპუდა.

— დედაკაცო, ერთი ღობიო ჩადგი სადილად, უთხრა ერთხელ ქმარმა.

— როგორ ჩადგა, კაცო, ერთი წიქა ძარილი არა კვაქვს, მიუგო ცოლმა.

— რა ბევრი ძარილი იძახს მოუნდება! მითხარ, რამდენი გეყოფა და მოვიტან!

— ცოტა, ასე მუჭ-ნახევარი!

წავიდა სულელი და მიიძახის კ'სა-კ'სა, რომ არ დაავიწყდეს: მუჭ-ნახევარი! მუჭ-ნახევარი.

გლეხი კაცი ჰურსა სთესდა და სასოებით ამბობდა: „ერთი ათასად! ერთი ათასად!“ ჩუბარა სულელმა გვერდით და წამოიძახა: „მუჭ-ნახევარი! მუჭ-ნახევარი!“

მთესავს გული მოუვიდა, მივარდა სულელს და დაუწყო ცემა:—მე ერთი ათასად-მეთქი, დმერთს ვეხვეწები, და შენ „მუჭ-ნახევარიო“,—მწეველი?!

— ძამ რა უნდა მეთქვა, კაცო?

— წადი და „ერთი ათასად“-თქო იძახე, თორემ ვაი შენს ტუპს!

მიდის სულელი და ევირის: „ერთი ათასად! ერთი ათასად!“

წინ ხალხი შემოკეარა, მიცვალებუღს ძიანკეებდნენ სასა-
 ფლოზზე, და ტირილით ღმერთს ევედრებოდნენ: „ღმერთო,
 გვაკმაძრე, ამაზე მეტს ნუ დაგვაკლებო! უცებ შემოვსძათ სულე-
 ლის ძახილი: „ერთი ათასად! ერთი ათასად!“ მისცვივდნენ,
 ურტყეს და ურტყეს!

— რაღა მცემთ, ხალხო? მაშ რა უნდა ვთქვა? ღრიალებს
 სულელი.

— ღმერთო, ამაზე მეტს ნუ მოგვიკლავ-თქო!

წავიდა სულელი და მაურიანს-კი შესვდა; ახლად ჯვარ-
 დაწერილი მუფე-დელოუბლი მიტეხვით და მსიარულად მიიმღე-
 რიან: „მოვდივართ და მოგვიხარიან, მოგვეყვან ღამაში ხო-
 სობი“...

— ღმერთო, ამაზე მეტს ნუ მოგვიკლავ! შეტდრიალხა სუ-
 ლელმა.

შესარსოშებული ძაურები შედგნენ, სტაცეს ხელი და ის
 შენს მტერს, რაც იძახს დღე დაუენეს!

— მაშ რა უნდა მეთქვა, რაღა მცემთ?

— გაუძარჯოს-თქო, იკვირე.

წავიდა სულელი და მონადირეებს შესვდა, რომლებიც
 ფეს-აკრუფით კურდღელს ეპარებოდნენ.

— გაუძარჯოს! შეტევირა სულელმა და დაბოთსო ნიძახში
 ამოღებული კურდღელი.

მონადირეებს სისხლი ეელში მოაწვათ და კინაღამ კურ-
 დღლის ძაკურად იძახს არ დაუძინეს თოფები.

— კასწი, დაგვეკარგე ბქედან! ფეს-აკრუფით იარე, ხმა არ
 ამოიდო, კრინტი არ დასძრა, თორემ უსიკვდილოდ ვერ გადა-
 გვირჩეობ!— გაუჯავრდნენ მონადირეები და გააგდეს კისტის
 კვრით.

მიხერხებებს სულელი ხმა გაკმენდილი. იარა, იარა და ერთ ზღაპას ორი მოხსუბარი დაინახა: ქონრადკენ ერთმანეთს, ღამის ერთმანეთი დაახსოვნ. ჩაუარა სულელმა გვერდით და სუდაც არ შეჭხედა. მოხსუბრებმა თავი ახებეს ერთმანეთს, ეცნენ სულელს და თავიანთი გულის ბუხარი იმაზე ამოი-
 ვარეს.

— ხუენ აქ ღამის ერთმანეთი დავსოცოთ და ქრისტინაი სული არ გიღვას, შე ურჯულოვ, ხმასაც არ გვცემ? თითქო გისაროდეს ჩვენი ჩსუბი!

— აჰა, ღმერთო! მამ რა უნდა მექნა? მეც ხომ ჩსუბს არ დავიწვებდით?

— საცა მოხსუბრები ნახო, უნდა გაამკვლო, დაბრიგეს კარგად ნაცემი სულელი.


წავიდა დაღაღული, მოთეთქვილი სულელი, მაგრამ უყ-
 ხებს ძლივს-ღა მიათრევს. იარა, იღონდიღლა და სოფლის ბო-
 ლოს საუდარს წაადგა. ეკლესიიღვან რაღაც ხმაურობა შემო-
 ესმა ორი კაცისა, დაღუნა თავი და მიკ შევიდა. მღვდელი და
 დიაკვანი ლოცულობდნენ და განქარებულნი ერთმანეთს ზირი-
 დან სიტყვებს ართმეკვდნენ. სულელს ეკონა, უთუოდ რამქსე
 ჩსუბობენო, გაქანა, ეცა მღვდელს, ეცა დიაკვანს... ზირსე
 ხელს აფარებს და ემუქრება, — მისამარა ჩუმად, თორემ, თუ არ
 განუძებულხართ და არ შერიგებულხართ, ერთსაც და მეორე-
 საც წვერებიდან გაგვკლითო!

წირვა ის-ის იყო თავდებოდა კიდეც და საუდარში სინუ-
 ქე ჩამოვარდა. სულელს გაეხარდა, ხეში დაბრიგებით გავაძვე-
 ლე მოხსუბრებით. მაგრამ წირვის შემდეგ ეს სინარული მწუ-
 ხარებად შეეცვალა: მისდგნენ მღვდელი და დიაკვანი და იმდენი-
 სცემეს, რომ სულელი-კი არა, ბრძენთა-ბრძენიც ვერ და-

თვლიდა. დაბრუნდა შინ ჩვენი სულელი გაღასული, მღვდელ-მოთუქვილი, სელცარიელი და მიამდა გულიანად, უმარლო ლობიოს.

თ. კანდელაკი.





პატარა ქალის სასწავლო ნივთები.

(თარგმანი)

როცა კონტა მკვიდახედ ეწეო: საწერ-კალამი, ქაღალდი და სხვა სასწავლო ნივთები,—დიდად უკმაყოფილონი თავიანთ ბედისა.

„ოჰ, რა რიკად მტანჯავენ“,—ამბობდა მტირალი ხმით ქაღალდი: „რას არ მიძვრებიან; კიდევ მხვევენ, კიდევ მსვრიან ძეგნით, კიდევ მბღაჯნიან, სურვს მიჭრელებენ კალმით და სულ-კი უბზროდ. ხეტბვი, როდის მოკლებ ბოლო ამ ხემს ტანჯვა-წვადლებს! სულ-კი იმ წუეულ ფოლადის კალმის ბრღლიან ხემი ტანჯვა-წვადლებს!“

— „გარწმუნებთ, ძვირფასო ქაღალდო, რომ სრულიად უბრღლიად მამტეუნებთ“. უპასუხა კალამმა.

— „ამბოჯ იმბროლეობთ თავს“, წამოიძახა კაჯავრებით ქაღალდმა: წინად სხვა კალამი იყო და მაშინ სულ სხვა იყო!

ოჰ, რა მეგობრები ვიყავით და როგორ მსიარულად ვატარებდით დროს! როგორ ფრთხილად სწავლებდა ის კალაძე ჩემს ფურცლებზე ერთ გვერდიდან მეორეზე! რა ლამაზ და ჭკვიან ასოებს სწერდა! ის არ ჰგავდა თქვენს ნაბღაჯნს! თქვენ-კი რას გვეხართ? უსწავლელი, ბინძური! ერთი შესჯდეთ, თქვენი წებლობით ჩემი ფურცლები დაფხრეწილ ცხრილს დაემსგავსებენ. მე ვერასოდეს ვერ განვიკურნები ამ ჭრილობებიდან“, სთქვა გაჯავრებულმა ქალაქმა და ისე დაიშრიალა, რომ გააღვიძა კუთხეში მძინარე გაბერილი სამქლენე; ფოლადის კალამს-კი, ბუნებით უგრძობელს და გულგრილს, არამც თუ არ შეეშინდა ქალაქის რისხვისა, არც-კი გაჯავრებულა მის სიტყვებზე, ის მხოლოდ გამოიღდა თავის ბოროტ მესობელს.

„მეც მახსოვს დრო“, სთქვა კალაძე: როდესაც მეგობრულად ვცხოვრობდი კარგ და სწორ ქალაქთან, ის მე არ მესხუბებოდა. მაშინ სრული კმაყოფილი ვიყავით ერთმანეთისა და რამდენ მძვენიერ მოთხრობებს და საოცნებო ზღაპრებს ვწერდით ერთად. რა მსიარული, რა კარგი დრო იყო ის დრო. ასლაკი ვკდივარ და ვუბნებდი რაღაც ჭაბობში, რომელსაც სამქლენეს ეძახიან; მაგრამ ვინ არის გამკითხავი! ისევ მევე მღანძღავენ დიდი და პატარა.

„რაო, რაო?“ — წამოიძახა სამქლენემ: — „თქვენ მე ჭაბობი მიწოდეთ, თუ მე კარგად ვერ გავიგონე? იცით თქვენ, თავსეოდ, რომ თქვენისთანა საბავშვო კალამს მე ჩემს დღეში არ შევხვედრებარ? თქვენი უწმინდურობით მეღანი ტალახს დაემსგავსა; არც ერთი კალაძე მე ისე არ მოითხნიდა, როგორც თქვენ.“

ახალი მტრის ამხედრებაში კამოიუვანა კვლამი მოთმინებიდან. მიუსხედვად მაგარი ხასიათისა და მშვიდობიანობის მოყვარეობისა, კვლამმა ვერ შესძლო ეკეთი შურადაცოფის ატანა და მოეძნადა იერიში მიეტანა თავის მოწინააღმდეგეებზე, მაგრამ ამ დროს რეზინი ჩაერია ლაპარაკში:

„ნუთუ ძართლა კვლამია ჩვენი უბედურობის მიზეზი?“
 „რასაკვირველია, რასაკვირველია, სულ მაგისი ბრალია, უბასუსხა იქავე მდებარე წიგნმა: „მაგან მეც არ მომასვენა, მეც არ დამტოვა გაუსვრელი.“

უცებ მოისმა ეარანდაშის მკაფიო ხმა, რომელმაც სრულიად დაჭყარა ქალღმრის შრიალი, სამქლნეს შიძინი და ფოლადის კაღმის წკრიბლა ხმა. „თუძცა კვლამს მე სრულებით არ ვიცნობ, მაგრამ მეც ვერ ვარ ჩემის ბეღის მადლიერი, მეც ძლიერ ცუდად მიწინააღმდეგებენ; მშვენიერი ხატვა თითქმის სულ დამავიწყდა. მუღამ მთლიან, დასეთ რაკორ დაუბატარავდი.“

სახივარი და უკმაყოფილება მოისმოდა ეოველი კუთსიდან. თან-და-თან ძლიერდებოდა უვირილი, წრიბინი და ხმაურობა. ქალღმრე თროდა, კვლამი და ეარანდაში დაგორავდნენ წინ და უკან, რეზინი ხტოდა, წიგნი ამრიალლებდა თავის ფურცლებს; ძარტო სამქლნე ხანტად ღელავდა. საწქელმა მაკიდამ არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა ეს არეულობა. უცებ მოუსეშავმა ხმამ შესწვეიტა ეს ჩხუბი: ეს იყო ძველი მოზრდილი დანა. „დამშვიდდით, დაწუნარდით!“ რიზინი კილოთი წარმოასთქვა დანამ. „ქალბატონო ქალღმრე, ნუ ხართ აკეთი

ბოროტი, სუ უფირით, როდესაც არ იცით, რაშია ხაქმე; თქვენ, გულადო კალაძო, კვლავ კარგ გუნებაზე დადევით; საუფარელო სამქელნეკ, სუ ჯავრობთ ეგრე. უური დამიკდეთ და აკიხსნით თქვენი უბედურობის მიზეზს. თქვენ უველანი ბტუეუანი ხართ, თქვენს უბედურობას რომ ერთმანეთს აბრალეებთ. ეს ქალადლი ეკუთვნოდა აწინდელი შაკის ჰიტრონის უფროს დას! უმფროსმა დაძკი მშვენიერი წერა იცოდა; თქვენით, ფოლადის კალაძო, სწერდა მისი ძმა, რომელიც ძალიან ჭკვიანი და ნასწავლი კაცი იყო; ქალბატონი სამქელნე უოველთვის იღვა გულკეთილ მამიდის მაგიდაზედ. ეარანდაში ეკუთვნოდა თქვენი პატრონის ბიძიას, რომელიც შესანიშნავი მსატვარი იყო. ესლაკი თქვენ სუველანი უწინდელ პატრონების წილ მათი შვილების ხელში ხართ და ისინი კპატრონობენ და სწორედ მათი ხარმაცი და გაუწვრთელი თითებია თქვენი უბედურობის მიზეზი. მოითმინეთ ცოტა და დარწმუნებული იყავით, რომ არ წააკებთ. მე ძველი მოსამსახურე ვარ, ვიცნობ ქვეყანას და პატარა ბავშვებს. ბევრი, ძალიან ბევრი ქარაფშუტა და ხარმაცი გოგონები მინახავს, რომლებიც დაჭკვირვებიან თავის თავს, მუეგნათ თავიანთი ნაკლულეკანება, გულმოდგინედ შესდგომიან შრომას და გასწორებულან. ჩვენი ბავშვებიც კარგები არიან, ისინი ადრე შეივსებენ თავიანთ ნაკლულეკანებას, მიხვდებიან, რომ უშრომლად არაფერი არ გაკეთდება.“

კალმის დანა გახუშდა, მოკამათენი დამშვიდდენ და სიხუმე ჩამოვარდა.

ერთმა ქალმა გაიგონა ეს საუბარი და ძალიან შერცხვა თავისი სიხარმაცისა და დაუდეურობისა. დანის სიტყვებმა გაამხსნა პატარა, მას აქეთ გულმოდგინედ შეუდვა წერის

და სატვის სწავლას და აღარ ეხარებოდა ცუდად დაწერილის
 დახატულის გასწორება, თან თავის სასწავლო ნივთებსაც ძლიერ
 უფრთხილდებოდა და უკვდიდა.

სონა ქიქოძე.





ჩხუბი რაჲ იცის?

(თარგმანი.)

ორი მოსუცი ერთად ცხოვრობდა. არამც თუ ჩხუბი, უბრალო უსინძოვნებაც-კი არსად მოსვლიათ, ისე ტკბილად აღარებდნენ დროს.

— ვერ წარმოძიდვენია, — სთქვა ერთმა მათგანმა, — რად უნდა მოუვიდეთ ადამიანებს ერთმანეთში ჩხუბი?

— ღმერთმან იცის, მეც ვერ გამოვიბა, რაზედ უნდა იჩხუბონ? რა არის ჩხუბის მიზეზი? მოდი ერთი ვცადოთ!

— იცი, რა გითხრა. — განაგრძო ჰირველმა. — აი, ამ ქოთანს შუა ოთახში დავდგამ და კერევი: ჩემია მეთქი; შენ ამიხირდი, ჩემია თქო. ასე დავიწყებთ, შევეუებით და „დაკა-დაკა“ — ც კახნდება.

დასდგეს შუა ოთახში ქოთანი.

— ჩემია ქოთანი. — უთხრა ჰირველმა.

— შენი რამ კახდა? — შენი-კი არა, ჩემია! — მიუგო მეორემ.

— გეუბნები ჩემია-მეთქი! ვაიძეორა ისევ ჰირველმა.

— ჩემია მეთქი! — შეჭევირა მეორემ.

— შენია და წაიდე, ღმერთმა მოგახსძაროს. — უთხრა ტკბილად ჰირველმა.

მეორე გაკვირვებული შეჭეურებდა: — რომ ვერ ვიჩხუბეთ?

— როგორ ვიჩხუბებდით, რომ არ ამიხირდი?

დომ. დეკანოზიშვილი.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი


ერთი რამ უცხო ნაზარდი
 შორს წაიყვანა ბიძამა,
 იქ დახვდა ნათესავეები,
 მაგრამ ვერ იცნო ბიძამა,
 ვერცა აწეინა სიცივემ,
 ვერცა სიცხემან შხისამან,
 რომელიც დარჩა ისარა—
 ნაულომა მამულისამან.

ოთხი შეგვარი სუთითა
 ოთხს კიდევ შეგვრავ სუთითა.

რ ე ბ უ ს ი



№ 1.



მესამე ნომერში მოთავსე-
 ბული გამოცანის ახსნა:—
 სასუქარო ამოცანა: № 1.
 გამოცანა: 1) სანთელი. 2)
 სკა და ფურცელი. 3) გვიძრ
 და ჩადუნა. 4) რებუსი: ცხვი-
 რი.